№2674 2015 წლის 11 დეკემბერი ქ. თბილისი

„საქართველოსა და SOCIETE GENERALE-ს შორის გაფორმებული „COFACE საკრედიტო ხაზის შეთანხმება B“-ს (MBDA France ნასყიდობის ხელშეკრულება)“ საქართველოს პარლამენტში რატიფიცირებისათვის წარდგენისა და მომხსენებლებად გ. კაკაურიძისა და დ. ებრალიძის დანიშვნის შესახებ

1. „სახელმწიფო ვალის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის 2^4 პუნქტის შესაბამისად, საქართველოს პარლამენტს რატიფიცირებისათვის წარედგინოს „საქართველოსა და SOCIETE GENERALE-ს შორის გაფორმებული „COFACE საკრედიტო ხაზის შეთანხმება B“ (MBDA France ნასყიდობის ხელშეკრულება)“.

2. „საპარლამენტო მდივნის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად, საქართველოს პარლამენტში რატიფიცირებისათვის წარდგენილ ამ განკარგულების პირველ პუნქტში აღნიშნულ შეთანხმებაზე საქართველოს პარლამენტის საკომიტეტო და პლენარულ სხდომებზე მომხსენებლებად დაინიშნონ საქართველოს ფინანსთა მინისტრის მოადგილე **გიორგი კაკაურიძე** და საქართველოს თავდაცვის მინისტრის პირველი მოადგილე **დავით ებრალიძე.**

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი ღარიბაშვილი**